საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/3

ქ. ბათუმი 23 იანვარი, 2017 წ.

2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ– ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს N87 დადგენილების, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 6 ივლისის N40 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (სტუდენტის მიერ დარეგისტრირებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში). ამავე ვადაში (სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში) უნდა განხორციელდეს სტუდენტის მიერ უკვე დარეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა.
2. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა (ადმინისტრაციული რეგისტრაცია) შესაძლებელია განხორციელდეს 3 (სამ) ეტაპად:
   ა) I ეტაპი – 2017 წლის 17 მარტის ჩათვლით;

ბ) II ეტაპი – 2017 წლის 29 აპრილის ჩათვლით;

გ) III ეტაპი – 2017 წლის 10 ივნისის ჩათვლით;

3. სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის (გაზაფხულის სემესტრის) სწავლის საფასური, თუკი ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შეუჩერდება 2017 წლის 1 აპრილამდე).

4. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში